# სამოთხიდან გამოსული ვარდი ხარ

სამოთხიდან გამოსული ვარდი ხარ!
მუდამ თან გიდევნო სუფრის მაზათა,
ტანადობით ალვა განაზარდი ხარ,
ალვის ხეო, რამ გაგხადა ვაზათა!

ნეტავი რა უყო, რა მოვიგონო,
მე შენი ზიანი არ გავიგონო,
როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო,
ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდაზათა.

როდის გნახამ თვალი-იაგუნდითა.
წარბები შეგეღებოს სურმა-გუნდითა?
ალმასის ჯიღა ხარ ოქროს ბუდითა,
სირმა ვერცხლი მოგიხდება რაზათა1

ხოხობივით დაგლოლავდე ველშია,
ბროლის ჩაფი დაგეჭიროს ხელშია.
ნაქები ხარ შენ სუყველაფერშია,
შევარდენო რამ გაქცია ბაზათა!?

ვიწვი ეშხისაგან, ალი არა მაქვს,
ნებით გეხვეწები, ძალი არა მაქვს
საიათნოვა ამბობს - ბრალი არა მაქვს,
ნუღარ დამწვამ, ეს მეყოფა ჯაზათა!